136
ტფილისი

სახალხო გაზეთი

№ 853 შაბათი, 23 მარტი 1913 წ. № 853

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

„სახალხო გაზეთი"-ს რედაქცია მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველებსა და ქართველ საზოგადოებას, რომ 21 მარტს, საღამოს 11 საათსა და 35 წუთზე, ბათომში გარდაიცვალა გაზეთის მუდმივი თანამშრომელი

არჩილ ჯორჯაძე.

დასაფლავება მოხდება ქ. ტფილისში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა მწუხარებით აცხადებს, რომ ბათომში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი

არჩილ ჯორჯაძე.

დღეს, 23 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. 1120.

ამხანაგები და მეგობრები აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ 21 მარტს, ღამის 11 საათსა და 35 წუთზე ქ. ბათომში გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი

არჩილ ჯორჯაძე.

პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია დღეს, ნაშუადღევის ორ საათზე.

„სახალხო გაზეთ"-ის ასოთ-ამწყობნი და სტამბის მომუშავენი გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ბათომში უდროოდ გარდაიცვალა 21 მარტს, ღამის 11 საათსა და 35 წუთზე, ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მოწინავე მოაზროვნე პუბლიცისტი

არჩილ ჯორჯაძე.

დაკრძალვა მოხდება ქ. ტფილისში.

ქართველ მუშათა ჯგუფი აუწყებს ამხანაგებსა და მეგობრებს სასიქადულო მამულიშვილის

არჩილ ჯორჯაძის

გარდაცვალებას.

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალება

ბათომიდან გულშემზარავი დეპეშა მოვიდა: **21 მარტს, საღამოს 11 საათსა და 35 წუთზე გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე. განსვენებულს გარს ეხვივნენ გულდათუთქული მეგობრები და ამხანაგები.**

—

განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის გვამს ბათომიდან გამოასვენებენ კვირას, დილის ექვსი საათის მატარებლით, რომელიც ტფილისში მოდის საღამოს 5 საათსა და 56 წუთზე.

—

განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ თავისი თხზულებანი უანდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

—

არჩილ ჯორჯაძის სიკვდილის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქალაქს და დიდი მწუხარება გამოიწვია. რედაქციას უკვე მოსდის მრავალი სამძიმრის წერილი და დეპეშა, რომელთაც ქვევით ვბეჭდავთ.

პანაშვიდი განსვენებულის არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად დანიშნულია ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დღეს, ნაშუადღევის ორს საათზე.

სამძიმრის წერილები და დეპეშები

გუშინ დილით ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს მეტად სამწუხარო და დამაღონებელი ამბავი: გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი და ძვირფასი არჩილ ჯორჯაძე, რომელიც საუკეთესო გამომხატველი იყო ეროვნულ მისწრაფებებისა და რომლის წერილებიც ასე ღრმად სწვდებოდა ყოველი ქართველის გულს, რომელიც სადღაც მიჩქმალულ ეროვნულ გრძნობების გამომხატველი იყო...

ჩვენ, ქართველი მუშები, ღრმად დამწუხრებულნი სულითა და გულით ვსტირით და ვგლოვობთ არჩილის გარდაცვალებას...

მაღრაძე, ნატროშვილი, ნატროშვილი, გელაშვილი, შენგელია, გალაშვილი, კორინთელი.

ვუცხადებ ჩემს უგულითადეს თანაგრძნობას ქართველ ხალხს უდიდეს დანაკლისის გამო, რომელიც გამოიხატა საქართველოს უძვირფასეს და ღირსეულ შვილის, პუბლიცისტ არჩილ ჯორჯაძის სიკვდილში. ქედს ვიხრი მის ბრწყინვალე ხსოვნის წინაშე.

სომხურ-ქართულ გაზეთების
თანამშრომელი **ა. კასპარიანი.**

P. s. ამ ჩემს წერილს უერთდება სომხის ახალგაზრდა ინტელიგენტთა ერთი ჯგუფი და ჩემის პირით თავის სამძიმარს უცხადებს თქვენის გაზეთის საშუალებით ქართველ ხალხს.

ა. კ.

სოხუმის ქართველობისაგან:

სოხუმის ქართველებმა ღრმა მწუხარებით მივიღეთ ჩვენი ღარიბი საზოგადოებრივი ცხოვრების ნიჭიერისა, გულწრფელისა და უანგარო მუშაკის გარდაცვალების ამბავი.

ნიკო თავდგირიძისაგან:

აუტანელ გონებრივ შრომით დაღუპულ, ძვირფას არჩილის სახით ვგლოვობ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბედს. საშინელია არა ის ხვედრი, რომელიც ჰღუპავს ჩვენს გულწრფელ მოღვაწეებს, არამედ გარემოების ის უხეირო პირობები, რომელნიც აქარწყლებენ განუსაზღვრელი შრომის ნაყოფს.

—

ქუთაისი. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სამშობლოს უანგარო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის უდროოდ გარდაცვალების გამო. **ერისთავი.**

—

სამტრედია. განვიცდით უზომო მწუხარებას ქართველ ერთან ერთად ეროვნული იდეების მქადაგებლის და მისთვის თავდადებულ არჩილის გარდაცვალების გამო.

გიორგი სიხარულიძე.

არჩილ ჯორჯაძე
1872—1913 წ.

არჩილ ჯორჯაძე

(ნეკროლოგი).

შეუბრალებელმა სენმა მოგვტაცა მაღალის ნიჭისა და დიდის ბუნების ადამიანი. ქართველმა საზოგადოებამ, ქართულმა ლიტერატურამ, ქართველმა საეროვნო საქმემ და ქართველმა მშობელმა ხალხმა უდროოდ დაჰკარგეს დიდი მოამაგე, კეთილშობილი მეგობარი და მხნე მოღვაწე.

არჩილ ჯორჯაძის მოკლე ცხოვრება ნამდვილი ტრაგედია იყო. იმ დროიდანვე, როცა იწყება ადამიანის შეგნებული ცხოვრება, იგი ებრძოდა შეუბრალებელ სენს, ათასგვარ საოჯახო და პირად უბედურებასა და ჭირს; ნელ-ნელა იწვოდა, მაგრამ დაუღალავად მუშაობდა, არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც პრაქტიკული მოღვაწე...

ამ ჟამად არც დრო, არც გარემოება შეძლებას არ გვაძლევს სავსებით გავითვალისწინოთ ჩვენის ძვირფასის, ჩვენის საუკეთესო ამხანაგის ტანჯული ცხოვრება და მისი დიდი ღვაწლი. ვიკმაროთ ჯერ მხოლოდ უმთავრესი ცნობები.

არჩილ ჯორჯაძე დაიბადა ტფილისში 1872 წ. 10 იანვარს, მაშასადამე 41 წლისა გარდაიცვალა. მამა მისი, კონსტანტინე, მოხელე იყო და მე-70 წლების დასაწყისში ქუთაისს გადაიყვანეს, სადაც მთელის ოჯახით გადავიდა საცხოვრებლად. არჩილს ჰყავდა ოთხი და და ერთი ძმა. სწავლაც არჩილმა იქ დაიწყო, კლასიკურ გიმნაზიაში. მალე იმის ოჯახში დიდი უბედურება დატრიალდა: ორი უფროსი და არჩილისა, რომელნიც ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის უკვე უფროს კლასებში სწავლობდნენ, მოწამეთის მონასტრის ახლო, წყალ-წითელაში ბანაობის დროს, დაიხრჩნენ. ჯან-ღონით სავსე ახალგაზდა ქალები ერთმანეთს გულში ჩაჰკვროდნენ, მდინარიდან მათი უსულო გვამები ისე ამოიღეს და იქვე, მონასტერში, დაასაფლავეს. შემდეგ მოკვდა მესამე დაც და მალე წუთის-სოფელს გამოესალმნენ არჩილის დედ-მამაც. დარჩნენ ობლად არჩილი, უმცროსი ძმა და და. ამ რამდენისამე წლის წინად ეს ძმაც მოუკლეს ტფილისში ერთ გააფთრებულ მოხელესთან შეტაკების დროს.

სწავლა არჩილმა ტფილისის 1-ლ გიმნაზიაში განაგრძო და იქ კურსი დაასრულა 1892 წელს. უმაღლეს სწავლის მისაღებად გაემგზავრა პეტერბურგს და შევიდა იქაურ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პეტერბურგის აუტანელ ჰავაში და ცხოვრების ცუდ პირობებში ახალგაზდას მალე აღმოაჩნდა საშინელი სენი—ჭლექი, და იძულებული გახდა სხვაგან გადასულიყო. არჩილი გაემგზავრა ვარშავას და იქაურ უნივერსიტეტში შევიდა ისევ იურიდიულს ფაკულტეტზე. მაგრამ, როგორც კი უკეთობა იგრძნო, მაშინვე ისევ პეტერბურგს დაბრუნდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ იქ შეეძლო საუკეთესოდ მეცნიერების შესწავლა და მუშაობა. ახლა ის შევიდა ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე და ამასთანავე დაეწაფა ფილოსოფიის შესწავლას ცნობილ ვოლინსკის ფილოსოფიურს წრეში, სადაც ბევრი რუსი და რამდენიმე ქართველი ახალგაზდაც მუშაობდნენ. ეს უკანასკნელნი არჩილის მეგობრები და ამხანაგები იყვნენ—ზურაბ ავალიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და სხვანი, რომელთაც ძასთან ერთად დაასრულეს სწავლა ტფილისის გიმნაზიაში. ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე არჩილმა წელიწად ნახევარი დაჰყო. მერე ისევ გახდა ავად და იძულებული შეიქნა პეტერბურგისთვის და უნივერსიტეტისთვისაც თავი დაენებებინა. ეხლა არჩილი გაეშურა საზღვარ-გარედ და განაგრძობდა სწავლას პარიზსა და ლონდონში. იქ, ერთხანს, ტოლსტოველთა კოლონიაშიაც სცხოვრობდა, რადგან იმ დროს გატაცებული იყო ტოლსტოის მოძღვრებითა და, საზოგადოდ, ფილოსოფიურ-რელიგიურის იდეებით. სხვათა შორის, ახლო გაიცნო ძაშინ არჩილმა აღორძინებულ კვაკერების მოძრაობა და სწავლა, აწერა ეს ყველაფერი და დაბეჭდა ცნობილ მაშინდელ რუსულს ჟურნალ „სევერნი ვესტნიკ"-ში. ამ სტატიას დიდი ყურადღება მიაქცია მაშინ ლევ ტოლსტოიმ და, სხვათა შორის, არჩილს დაავალა მაშინ ჩვენში აყრილ დუხობორების შეხვედრა უცხოეთში და მათი ამერიკაში გადასახლებისთვის ხელის შეწყობა. ინგლისიდან არჩილი გაემგზავრა შვეიცარიაში და იქ განაგრძო თავისი სწავლა. ამ ხანებში იგი პოლიტიკურსა და საზოგადოთ სოციოლოგიურს მეცნიერებას დაეწაფა.

1900 წელს, სწორედ მაშინ როცა ახალგაზდათა ერთმა ჯგუფმა განიზრახა და დაიწყო „ცნობის ფურცლის" გამოცემა, არჩილი ტფილისს ჩამოვიდა და ჩადგა საგაზეთო მუშაობაში. იმ დღიდან დაწყებული არჩილს ერთის წუთითაც აღარ მოუსვენია: სწერდა, საზოგადო ასპარეზზედაც მუშაობდა აქ, ტფილისში, და 1902 წლის შემდეგ საზღვარ-გარედაც, სადაც დაარსა და აწარმოებდა, გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად, „საქართველო"-ს და ფრანგულ ჟურნალსაც... ამ ხანაში არჩილის მოღვაწეობის აღწერას აქ ვერ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩაეყარა პირველი და მტკიცე საფუძველი საქართველოს მეორე დემოკრატიულ ჯგუფის ამოძრავების საქმეს...

დიდმა შრომამ და გაჭირვებამ უშედეგოდ არ ჩაუარა არჩილისა და იმის ამხანაგის და თანამშრომლის გიორგი დეკანოზიშვილის ჯანმრთელობას: ორივენი დასნეულდნენ: გიორგი დეკანოზიშვილი, შემდეგ, 1910 წელს, კიდეც გარდაიცვალა უცხოეთში. ავადმყოფი არჩილი 1905 წელს ჩამოვიდა ტფილისს; პატარა შეისვენა, საყვარელ სამშობლოს ჰაერმა კარგი გავლენა იქონია იმის ჯანმრთელობაზე, ცოტათი გამოაბრუნა, უკვე ძალიან დასნეულებული, არჩილი და იგიც კვლავ მუშაობას შეუდგა. იმ დროიდან დაწყებული დღემდე არჩილის ცხოვრება ყველას თვალწინ მიმდინარეობდა. მისი ძლიერი სული გაშმაგებით ებრძოდა შეუბრალებელ სენს და უკვე სამარის პირს მდგომი არჩილი მაინც განაგრძობდა დაუცხრომელს მუშაობას, თავის შესანიშნავს პუბლიცისტურს მოღვაწეობას. ამ უკანასკნელ ორ წელიწადს გამოსცა მან თავის თხზულებათა ოთხი ტომი და თვითონვე დაამზადა მეხუთე ტომი; სულ უკანასკნელ დროს დასწერა მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანის შესახებ, უკანასკნელ დღეებში, უკვე ბათომში, როცა სიკვდილი კარზე ედგა, ეს დაუღალავი და საკვირველის ძლიერის სულის პატრონი ახალ სალიტერატურო შრომაზე ჰფიქრობდა—უნდოდა მონოგრაფია დაეწერა ილია ჭავჭავაძის შესახებაც...

ამ ტანჯულ მოღვაწის დიდ ამაგს არ დაივიწყებს ჩვენი ქვეყანა. დიდია ეს დაკარგვა, არა მარტო ჩვენთვის, ძის ამხანაგებისა და თანამოაზრეთათვის, არამედ მთელის ჩვენის ერისათვის.

დადუმებული სიტყვა

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება
ნ. ბარათაშვილი.

არჩილ ჯორჯაძე ერთს თავის ფილოსოფიურ წერილს („ინდოეთის სიბრძნე") ასეთის სიტყვებით ათავებს: „ასეა თუ ისე, დღეს მეცნიერებამ იკისრა იმ კითხვების გადაწყვეტა, რომლებსაც წინად რელიგია და მასზე დამყარებული ეთიკა სწყვეტდა. და მეცნიერების იმედები რომ გამართლდეს (ხოლო ბევრი საბუთია ამის თავდები), ავადმყოფობა, სიბერე ძლეულ იქმნებიან და მაშინ სიცოცხლის ტრაგიზმს ნიადაგი გამოეცლება და პესიმისტური სისტემებიც უძინაარსონი გაჰხდებიან".

ეს სიტყვები დიდბუნებოვან ადამიანისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ფიზიკურად ებრძოდა სიკვდილს და უნდოდა ამ ბრძოლისთვის ფილოსოფიური სიმშვიდის ელფერი დაედო. მეცნიერება აჯობებს სიკვდილს, სიცოცხლე, ლამაზი, თვალწარმტაცი სიცოცხლე, გაიმარჯვებს, დასთრგუნავს სიკვდილს. ვაი, რომ ულმობელმა სიკვდილმა, რომელსაც ასეთის ფილოსოფიურის აღუშფოთებლობით უცქეროდა განსვენებული, მაინც თავისი გაიტანა და ერთხელ კიდევ მოისურვა თავისი ძალის გამოჩენა! უდროვოდ გამოგვგლიჯა ხელიდან ადამიანი, რომელიც გულში ატარებდა, გარდა ნათელი აზრებისა, სიცოცხლის დაუშრეტელ წყაროს.

რა არის მთელი მისი მოკლე, მაგრამ ღრმად შინაარსიანი ცხოვრება, თუ არა განხორციელებული სიცოცხლე, განუწყვეტელი ბრძოლა, არა მარტო ფიზიკურ სიკვდილთან, არამედ ზნეობრივ სიკვდილთანაც? რა არის მთელი მისი მოღვაწეობა, თუ არა მოწოდება ისეთ მოქმედებისკენ, რომელიც ჰქმნის ლამაზსა და შინაარსიან სიცოცხლეს, ჰქმნის მუდმივ წინ-მსვლელობას, მუდმივ ამოძრავებას ერის სასიცოცხლო ძალებისას? ასეთი იყო არჩილის ცხოვრება, ასეთი იყო მისი მოღვაწეობა.

არჩილის უდროვოდ დადუმებული სიტყვა ყოველთვის მიიწვევდა თავის თანამემამულეთ აზრიან და ნაყოფიერ მოქმედებისკენ, რომელიც ბრწყინვალე ეროვნული იდეალით უნდა ყოფილიყო გაშუქებული. იმასა სწამდა მომავალი ბედნიერება კაცობრიობისა, სწამდა, რომ ერთხელაც არის მოისპობოდა ცრემლი და ბოროტება და ქართველი ერიც პირნათლად წარსდგებოდა მომავალ საკაცობრიო კულტურისა და ბედნიერების დღესასწაულზე.

სწამდა და თავისი ოპტიმისტური რწმენით სხვასაც იმედს უკაფებდა.

გასწყდა ლამაზი სიცოცხლე... დადუმდა სიტყვა! მაგრამ გათვითცნობიერებული ერი არჩილის ნაყოფიერ ღვაწლს ვერსაოდეს ვერ დაივიწყებს და პოეტთან ერთად იტყვის:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება".

არ. ჯ—შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს, 23 მარტს, ს. ნინოწმინდის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტფილისის ეპარქიალურ სასწავლებლის მე-V კლასის მოწაფის

მარიამ (მანია) ალექსის ასულის **გულისაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი მშობლები: **მღვდელი ალექსი გულისაშვილი, რახილ ივანეს ასული გულისაშვილისა თავიანთი შვილებით და რძლით.** 172.

მიხეილ (კაკო) გიგოს ძე ბერეჟიანი, ნინო და ელისაბედ ბერეჟიანისა, ბაბალე და **დიმიტრი ნაკაშიძენი, ეფროსინე პელაგია, გიგო** და **ჯიმშერ ბერეჟიანები,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, 20 მარტს გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, დანარჩენების რძალი

მარო ბერეჟიანისა კუკულავას ასული.

პანაშვიდები ყოველ-დღე, საღამ. 6 ს. გამოსვენება 24 მარტს, კვირას, დილის 9 ს., კურსკის მისახვევიდან № 10, კუკიის ასაფლაოზე. 167.

ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელნი საისტორიო და საბუნებისმეტყველო ნაწილისა, დიდის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას უდროვოდ გარდაცვალებას ამხანაგის, მეოთხე კურსის მსმენელის

მარო ბერეჟიანის-კუკულავას ასულისას.

პანაშვიდი საღამოს 6 ს. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე, კვირას, 24 მარტს. გამოსვენება 9 საათზე, საკუთარ ბინიდან, კურსკის მისახვევი № 101. 171

დარია დიმიტრის ასული ელბაქიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ და საყვარელ მეუღლის

ვასილი გრიგოლის ძე ელბაქიძის

გარდაცვალებას, ხან მოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. ცხედარს ვამოასვენებენ (გუნიბის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 21), კვირას, 24-ს მარტს, დილის 9 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზე. 169.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 79

ორშაბათს, 25 მარტს, ◆ **ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ,** ◆ წარმოდგენ. იქნება პირველად ქართულ სცენაზე ძველ საბერძნეთის გამოჩენილ ტრაღიკოსის **სოფოკლესის** ცნობილი ანტიური ტრაღედია **ედიპე მეფე** თარგმანი კონსტ. ანდრონისა.

წარმოდგენის დაწყებამდე **მხ. წულუკიძე** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

„ანთიკური ტრაღედია და ედიპე მეფე“

ტრაღედია დადგმული იქნება ცნობილ რეჟისორის **რეინტგარტის** გეგმით, რისთვისაც სცენა და პარტერი შეერთებული იქნება. ◆ მოქმედება უმთავრესად სწარმოებს **პარტერში და იმ ალაგას, სადაც იმყოფება ორკესტრი. პარტერის** პირველი სამი რიგი აღებულია და ეს ადგილი მოწყობილია ძველ საბერძნეთის თეატრის სცენის მიხედვით. რადგანაც მომქმედნი პირნი თეატრის ფოიესა და კორიდორებიდან გამოვლენ, ამიტომ მსახიობთა ამხანაგობის რეჟისურა უმორჩილესად სთხოვს **დამსწრეთ,** მეორე ზარის შემდეგ ყველამ თავისი ადგილი დაიჭიროს. **დასაწყ. სა. 8½ ს. წარმოდგ. დაწყების შემდეგ თეატრში არავის შეუშვებენ. ედიპეს** როლს შეასრულებს ვ. გუნია. **მონაწილეობს მთელი დასი, 50 კაცი და სიმებიანი ორკესტრი „ახალი კლუბისა“ ბ-ნ პრესმანის ლოტბარობით.**

ადგილების ფასი საბენეფისოა. ბილეთები უკვე იყიდება თეატრის კასაში.

1094 რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.** ადმინ. **იორდანიშვილი.**

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

სამშაბათს, 26 მარტს **საღამო**

გიორგი ჯაბაურის

სახალხო თეატრის სცენაზე 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად

სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართვ. წრის მიერ მსახ. ქ-ნ **ნ. დავითაშვილისა** და მსახ. ბ. **კ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება **და-ძმა** დრამა 5 მოქმ. და 6 სურათ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ნ. დავითაშვილი, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: არშაკუნი, გ. აბაშვილი, ნ. გოცირიძე, ა. კავსაძე, ვ. მინდიაშვილი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, გ. ფრონისპირელი, კ. ყიფიანი, ჭუმბურელი, გ. ჯაბაური და თანამშრომელნი.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** ქართ. სახ. წარ. წრის ადმ.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა 30 მარტს. 1034

ანონსი

ქ. ქუთაისი

კვირას, 31 მარტს,

ი. გრიშაშვილის თაოსნობით გაიმართება საინტერესო მუსიკალურ-ლიტერატურული

საღამო-მეჯლისი

1) ლექცია. 2) წარმოდგენა. 3) სიმღერა. 4) დეკლამაცია.

დაწვრილებით შემდეგ.

1117

ავლაბრის სახალხო ქართულ წარმოდგენების მმართ. წრის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, რადგანაც **უკვე შეუდგა საზაფხულო სეზონის გახსნას,** ამის გამო **იწვევს სცენის მოყვარეთ, როგორც ქალთ, აგრეთვე მამაკაცებს.** სეზონი მოსალოდნელია მალე გაიხსნას. რეპერტუარი შემდგარია სრულიად სხვა პიესებით, რომელიც შარშანდელ სეზონში არ ყოფილა დადგმული.

ამის გამო იმ პირთ, რომელნიც **მოისურვებენ დასში ჩაწერვას,** უნდა მიმართონ ამავე წრის რეჟისორს მსახიობ **ი. ივანიძეს,** Католическая № 14, დილის 10—12 ს.-დე. სეზონის გახსნის შემდეგ კი თეატრის კანტორაში, ყოველ დღე საღამოს 7—10 საათამდე. 1029

გამომცემლობა და

-ჟურნალ-გაზეთების კანტორა-

„იმერეთი“

ქუთაისში,

ამით აცხადებს, რომ იგი შეუდგა

გიორგი ქალადიდელის

(**ქოჩაქიძის**)

ნაწერების გამოცემას. წიგნს წამძღვარებული ექნება ბიოგრაფია **იონა მეუნარგიასი,** კრიტიკული განხილვა—**ივანე გომართელისა,** სურათი და ფაქსიმილე. წიგნი იქნება 200—250 გვ. და ეღირება ხელის მოწერით 10 შაური, ხოლო გამოცემის შემდეგ 15 შაური. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კანტორა „იმერეთში“, **ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში და გამომცემლობა „იმერეთის“ ყველა იმ აგენტებთან, რომლებიც გამოცხადებულია „თემი“, „კოლხიდა“-სა და „დილა“-ში.

ისიდორე კვიცარიძე. 1113

დღეს, 23 მარტს, 1913 წ., საღამოს 8 ს., მოხდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების წევრთა მორიგი კრება,

რომელზედაც საზოგადოების წევრი **იპოლიტე ვართაგავა** წაიკითხავს მოხსენებას:

„რაფიელ ერისთავი და იმისი შემოქმედება“.

კრება მოხდება ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე (ბელინსკის ქუჩა, სახლი № 2).

ახლად გაიღო **„კურზალი“** **მიხაილოვის პროს. № 144,** (იუნკრების სასწავლებელთან).

ყოველ დღე **ახალ ახალ სანოვაგისაგან მზადდება სადილი** და **ვახშამი ახალ ერბოთი,** საუკეთესო მცოდნე პირის ხელმძღვანელობით. სადილი 2 კერძისაგან ერთი ჭიქა არაყით ანუ ღვინით ღირს 35 კაპ. სადილი ეგზავნება მსურველს სახლშიაც. თვიურებს დაკლებულ ფასებში, არის ყოველგვარი მაგარი სასმელები და ღვინოები საუკეთესო ფირმებისა. მუდამ **არის კახური ღვინოები საზოგადოებ. „კახეთი“-სა.**

1119 პატივისცემით **„კურზალი“.**

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი** იღებს შინაგან სნე. ჭლექისა და გულით ავადმყ.

წამლობა ჭლექისა წამლობა **ტუბერკულინით, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია,** გრიბოედოვის ქ., № 3 ([illegible] ქ. კუთხე).

ტელეფ. 7—93. 97

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან [illegible] ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის [illegible] და მეტეხის [illegible].

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები [illegible] განყოფილებებ.

მოსიარულე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

ხირურგიული სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3 **მაღალაშვილი ვ. ვ.** (სამშაბ. და [illegible]) 10—11. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1 **ფედოროვი ე. ვ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—1½ ს.
[illegible]	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **[illegible] რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და სამშობიარო სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12 **თაკანაძე ი. ვ.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **[illegible] ა. ი.** (ყოველ [illegible]) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. ვ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**ზიდევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **[illegible] გ. ხ.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
[illegible]	**[illegible] ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **[illegible] ნ. ხ.** (ყოველ დღე) 1½—2.
[illegible]	**მუსხელიშვილი გ. ხ.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
[illegible]	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 10 მ., [illegible] წოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით [illegible] 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. ბ. 1035

საცივო

„ცოცხალი“

1114.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ფ. 1020

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ. № 20. ფ. 1022

ექიმი **ი. ი. ზარიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, სადარბაზო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით. ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“ 1053

კბილის

ექიმი **ა. ვ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12 1334

ექიმი **შ. ა. მიძელაძე.** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—8½ საათ. კახეთის ქ. № 6.

ექიმი **კბილისა** **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

სამტრედიაში

ექიმი **ე. ქ. აბულაძე** იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე **სწამლობს „606“** და **„914“.** 1118

ექიმი **ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ელექ. და დამპალი ცივებ. პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. **ტფილისი,** მიხეილ. ქ. № 86, **ტელ.** № 576. 1071

სპეტაკი სული.

მოგვწყდა... გაფრინდა სპეტაკი სული!..

ის, ვინც გაუტეხელი თავდადებით ებრძოდა დუხჭირ ცხოვრებას და ბედკრული ერის დანგრეულ საკურთხეველს ზვარაკად სწირავდა სპეტაკი სულის თვით უუწმინდესსა და უუნაზეს ლტოლვილებათ, თვით მსხვერპლი გახდა გულცივი სიკვდილისა!..

საზიზღრამა, ბოროტმა და საშინელმა სენმა, მის ღვთიურ სულს რომ ვერა დააკლორა, შეჰპარავი გაუტანლობით, ქურდული დაუნდობლობით დაამსხვრია ის სუსტი ჭურჭელი, რომელშიაც მომავალ საქართველოს ძვირფასი განძი იყო დაცული...

დავობლდით... ვერაგულად შემოჩენილმა სიკვდილმა სისხლის თქრიალით მოჰგლიჯა ჩვენს გულს ძვირფასი მასწავლებელი არჩილი...

ცრემლი?!.. განა ცრემლი გაანელებს მის თანამოაზრეთა და მეგობართა გულის წუხილს?..

ვინ, ან რამ, აგვინაზღაუროს ფასდაუდებელი დანაკლისი?!..

ოოჰ, ულმობელო, სიკვდილო, წყეულიმც იყავ, წყეული!..

ხოლო შენ სულო ძლიერო, რომელმაც მამობრივი მზრუნველობით გულს ჩაგვინერგე მტკიცე იმედი წამებულ სამშობლოს ბრწყინვალე აღდგომისა, იყავ კურთხეულ ამიერიდან!..

ა. ჭუმბაძე

ახალი მუშათა კანონი

II*).

ჩვენ მიერ გამოცემული კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ ნაყოფია ბიუროკრატიის ხანგრძლივ მუშაობისა. ეს მუშაობა იმ დღიდანვე დაიწყო, როცა პეტერბურგის ქუჩებზე, 1905 წლის 9 იანვარს, საშინელი ტრაგედია დატრიალდა. მუშათა მაშინდელ დიდ მოძრაობით შეშინებულმა მთავრობამ საჭიროდ დაინახა სოციალურ კანონმდებლობის გაფართოვება მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დიდის რიხით გამოაცხადა თავისი მომავალი პლანები. ფართო განზრახვათა აღსასრულებლად შედგენილ იქმნა უმაღლესი კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა წინ წაეწია ჩამორჩენილი მუშათა კანონმდებლობა და გამოეძებნა ღონისძიებანი აწინდელ სამუშაო პირობათა გასაუმჯობესებლად. იმ დღიდან დაიწყო ჩვეულებრივი ბიუროკრატიული საქმიანობა და მზრუნველობა. კომიტეტი კომისიას მისდევდა, კომისია კომიტეტს; მუშებს ხან იწვევდნენ ამ კომისიებსა და კომიტეტებში, ხან ერეკებოდნენ; ხან თვითონ ეკითხებოდნენ საზოგადოებრივ დაწესებულებებს — თქვენი აზრი გამოსთქვითო, ხან უკრძალავდნენ ამ საგანზე ლაპარაკს. ბოლოს და ბოლოს მთავრობამ მოუსპო განსაკუთრებული ხასიათი ამ საკითხის განხილვის საქმეს და ჩვეულებრივი მსვლელობა მისცა მას: საზოგადოებრივი ელემენტი სრულებით განიდევნა და პროექტების დამზადება გადაეცა დახელოვნებულ მოხელეთ პეტერბურგის კანცელარიებისას. ამას შემდეგ, რაც დრო მიდიოდა, მით უფრო და უფრო ვიწროვდებოდა წინანდელი ფართო განზრახვანი და, დიდიხნის მუშაობის შემდეგ, გამოცხვა დამახინჯებული კანონ-პროექტი, რომელიც სახ. სათათბირომ და საბჭომ თავის მხრით შეკვეცის შემდეგ, კანონად აქციეს.

ამ რიგად, წინანდელ ფართო განზრახვისა და პლანების შემდეგ, რომელთაც უნდა მოჰყოლოდა მუშათა მდგომარეობის ყოველმხრივი გაუმჯობესება, მუშათა კანონმდებლობაში რადიკალური ცვლილების მოხდენა, ჩვენ მივიღეთ ორი კანონი საავადმყოფო კასსებისა და მუშათა დაზღვევის შესახებ უბედურ შემთხვევათაგან, რომელთაც იმდენი ნაკლი აქვთ, რომ საეჭვოდ ხდება მათი პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველად ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორთავე კანონი (საექიმო დახმარება და უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევა) ყველა მუშებზე არა ვრცელდება. როგორც გუშინაც დავინახეთ, მის გავლენას ექვემდებარება მცირე რიცხვი საქარხნო-საფაბრიკო მუშებისა. მთელი რიგი სახაზინო და კერძო, სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო საწარმოვრ საქმეთა გამორიცხულია კანონის გავლენის სფეროდან. ამ მხრით საქმე გათავდა სახ. სათათბიროს მიერ გამოთქმულის „სურვილით“, რომ „ახლო მომავალში გაფართოვდეს იმ პირთა წრე, რომელნიც კანონის გავლენას უნდა დაემორჩილონ“. მაგრამ, ჩვენ უკვე ვიცით გამოცდილებით, რა უძლურია სათათბ. სურვილი, რა მცირე ფასი აქვს მას მთავრობის თვალში.

მეორე მთავარი ნაკლი კანონისა არის მუშათა მონაწილეობის შეზღუდვა მინიმუმამდე იმ დაწესებულებებში, რომელთაც ჰქმნის კანონი. საავადმყოფო კასსების საქმეში კიდევ ვხედავთ მუშათა ელემენტს, თუმცა აქაც არის მიღებული ღონისძიება მათი გავლენის შესამცირებლად. საზოგადო კრებაში, მაგალითად, თავმჯდომარეობს საწარმოვო საქმის პატრონი ან მისი რწმუნებული; გამგეობაში თითქმის თანაბარი რიცხვია მუშებისა და პატრონებისა. ყოველ შემთხვევაში, აქ, საავადმყოფო კასებში, მუშებს მაინც აქვთ დათმობილი შესამჩნევი ადგილი; სამაგიეროდ, უფრო დიდმნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის მუშათა დაზღვევის საქმე უბედურ შემთხვევათაგან, მუშებს თითქმის არავითარი მონაწილეობა არა აქვთ. მთელი საქმე მრეწველპატრონთა ხელშია: ისინა ჰქმნიან წესდებას დამზღვევ ამხანაგობათათვის, ისინი არკვევენ მუშის დაშავებისა და დაზარალების ხასიათს, ისინი ვარაუდობენ დამზღვევ შემწეობისა, თუ პენსიის რაოდენობას და სხვა. ამას უნდა დაუმატოთ ის გარემოება, რომ ახალი კანონი ცოტაოდნად ზღუდავს საფაბრიკო ინსპექტორების როლსაც დაზღვევის საქმეში და ამნაირად მრეწველი, თავისუფალი როგორც მუშის კანტროლისაგან, ისე ადმინისტრაციის გავლენისაგან, რასაკვირველია, თავისებურად ეცდება შეამციროს დამზღვევ კანონის სასარგებლო გავლენა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინა წერილში, რომ დაზღვევის საქმეს აწარმოვებენ ადგილობრივი კომიტეტები და ცენტრალური საბჭო. ამათი შემადგენლობა არის წარჩინებული მოხელენი და მრეწველთა წარმომადგენელნი; ხოლო მუშათაგან სამ-სამი კაცი შედის, რომელთაც ირჩევენ საავადმყოფო კასსები: თითოეულ ადგილობრივს გამგეობაში სამი კაცი ყველა ადგილობრივ საავადმყოფო კასსებიდან, ცენტრალურს საბჭოში კი პეტერბურგის საავადმყოფო კასსებიდან. რა თქმა უნდა, სადაც ათი და ოცი მოხელე და მრეწველი იქნება, იქ ამ სამ წარმომადგენელს, რომელთაგან კიდევ, შეიძლება, ერთი პატრონი იყოს, რადგან საავადმყოფო კასსებში პატრონებიც შედიან, არავითარი მნიშვნელობა არ ექნებათ. ამრიგად, ვიმეორებთ, დიდი საქმე დაზღვევისა სავსებით მრეწველთა გავლენის ქვეშ არის დაყენებული.

შემდეგ უნდა აღინიშნოს ის, შედარებით, დიდი მსხვერპლი, რომელსაც ავალებს კანონი მუშებს საავადმყოფო კასების შენახვის საქმეში. დიდ სამრეწველო საქმეებში, რომელნიც კარგად და წესიერად არიან მოწყობილნი, ამ ჟამად საექიმო დახმარება არაფრად უჯდება მუშას; ახალი კანონით კი მათ აწვებათ მეტი გადასახადი, ვიდრე საწარმოო საქმეთა პატრონებს. საზოგადოდ ამ საქმეში, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, ახალი კანონი არა თუ არ აუმჯობესებს საქმეს, პირიქით უკან სდგამს ნაბიჯს. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში, ბაქოს ნავთის მრეწველობაში და ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში საექიმო დახმარების საქმე უკეთ არის დაყენებული, ვიდრე ამას ახალი კანონი მოითხოვს. ამ გარემოებამ უხერხული მდგომარეობა შეჰქმნა და ამიტომ ნავთის მრეწველთა უკანასკნელმა საზოგადო კრებამ კიდეც დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მათ სამრეწველო საქმეში დატოვებულ იქმნას ახლანდელი ორგანიზაცია საექიმო დახმარების. უეჭველია, მარგანეცის სამრეწველო საქმეშიაც აწინდელ ორგანიზაციას შეინარჩუნებენ.

შემდეგ უნდა აღინიშნოს ავადმყოფ მუშათათვის და მათ ოჯახებისთვის შემწეობის რაოდენობის სიმცირე, აგრეთვე დაზარალებულთა შემწეობისა და პენსიისა, რომლის რაოდენობის გამოანგარიშებისათვის ნორმად მიღებულია 280 სამუშაო დღე წელიწადში, ნაკლები ვიდრე უცხო ქვეყნებშია მიღებული...

ჩვენმიერ აღნიშნული მთავარი ნაკლულევანებანი, და ბევრი კიდევ სხვაც, საეჭვოდ ჰქმნიან 1912 წ. 23 ივნისის კანონის სარგებლობას; მაგრამ ეს სრულიადაც არ ჰნიშნავს იმას, რომ კანონს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იგი პირველი ნაბიჯია ისეთ დიდ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის მუშათა სახელმწიფო დაზღვევა, ამ სიტყვის

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 852.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართო მნიშვნელობით; როგორც პირველი ნაბიჯი იგი ერთობ სუსტია, მაგრამ მას დიდი პრინციპიალური და მცირე პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს და ამას უეჭველად უნდა გაუწიოს ანგარიში მუშათა სმა. მის მხნეობასა და თვითმოქმედებაზეა დამოკიდებული საჭირო შესწორებანი შეიტანინოს ცხოვრებას კანონში და გამოიყენოს იგი, როგორც ახალი იარაღი თავის მდგომარეობის გაუმჯობესობისა და უფლებათა გაფართოვებისათვის ბრძოლის განსაგრძობად...

კანონის განხორციელების ზოგიერთ პრაქტიკულ მხარეზე შემდეგ წერილში მოვილაპარაკოთ.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მეფის მოადგილეს გრაფ ი. ვორონცოვ-დაშკოვს** 21 მარტს [illegible]თ ექვს საათს ეძინა, დროგამო[illegible]თ. ტემპერატურა ჰქონდა 37, [illegible]ის ცემა—70, მაჯა—საშუალოდ [illegible]კსე, გულის ფრიალი—იშვიათი და სუნთქვა 28–32.

◆ **საბირჟო ცნობები.** 22 მარტს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 80 კ., აძლევენ—85 მან. 55 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. აძლევენ—82 მან. 70 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან. აძლევენ—78 მან. 25 კ.

◆ **სავაჭრო ბანკი** აპრილის შუა რიცხვებში გაიხსნება. ბანკის გამგედ მოწვეულმა ბ-ნმა დიაკონოვმა აზოვ-დონის ბანკის როსტოვის განყოფილების გამგედ ნამყოფმა) ამ თანამდებობაზე უარი სთქვა, რადგანაც მოსკოვის სავაჭრო ბანკს მიუწვევია 50,000 მან. ჯამაგირით წელიწადში. ტფ. ბანკი 30,000 მან. აძლევდა.

◆ **ქალაქის სასალახოს რევიზიის გამო.** ორშაბათს, 25 მარტს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს ხმოსნები ქალაქის ახალ სასალახოს დასათვალიერებლად გაემგზავრებიან ქალაქის თვითმმართველობის შენობიდან. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მთელი მასალა სასალახოს რევიზიის შესახებ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის დასკვნით ქალაქის საბჭოს წარუდგინოს, 26 მარტისთვის დანიშნულ კრებაზე, რომელსაც, როგორც გავიგეთ, ხმოსანი ი. სულაბერიძეც (სასალახოს ერთი რევიზორთაგანი) დაესწრება.

◆ **მეღვინეობა.** კავკასიის სასოფლო. სამეურნეო საზოგადოებას თხოვნით მიმართა მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებამ, რათა გაუგზავნოს ყოველგვარი მასალა კავკასიის მეღვინეობისა. მოსკოვის საზოგადოებას მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისაგან საკმაო ფული მიუღია ისეთ წიგნის შესადგენად, სადაც შევა მეღვინე მეურნეთათვის საჭირო ყოველგვარი ცნობა: ყურძნის დაკრეფა. დაწურვა, სხვადასხვა ტიპის ღვინოების დაყენება, ღვინის ავადმყოფობა, მისი წამლობა და სხვა. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ მიღებული ცნობები მოთავსდება ამ წიგნში, რომელსაც ერქმევა „კერძო მეღვინეობა“.

◆ **კავკასიის საბრეშუმო სადგურმა** დაასრულა აბრეშუმის ჭიის თესლის გამოკვლევა. სულ გამოიკვლია 23.858 კოლოფი, რომელშიაც იყო 131,674 მისხალი თესლი. ადგილობრივ ფირმებისაგან წარდგენილი იყო 7,908 კოლოფი—35,977 მისხალი. გაფუჭებული აღმოჩნდა სულ 14 კოლოფი.

◆ **ლექცია.** 25 მარტს ქართულს თეატრში, შუადღის 12 საათზე, ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „საფუძველნი გონივრულ აღზრდა-განათლებისა.“

◆ **დიდხევის არხის** გადახურვა ქალაქის გამგეობამ დაასრულა და გუშინდლიდან იქით სავლელი გზა გახსნა.

◆ **გზის გაყვანა.** მეფის მოადგილის საბჭოს დადგენილების თანახმად, ტფ. გუბერნატორს სათადარიგო საერობო თანხიდან დამატებით გაეგზავნა 19,434 მან. 69 კ. კოდა-ალბულაღის გზის დასამთავრებლად. წინად ამ გზის გაყვანაზე 52,149 მან. იყო გადადებული, მაგრამ არ ეყო.

◆ თათრის მოედნის ნომრებისა და სასტუმროების მეპატრონეებმა გუბერნატორს სთხოვეს, ნუ აიძულებს მათ, იყოლიონ მეკარეები, რადგანაც მათ ცოტა შემოსავალი აქვთ და მეკარეს ვერ შეინახავენ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **სატეხნიკო საზოგადოებაში** დღეს კამათის გაგრძელება მოხდება ინჟენერ მიხაილოვის მიერ წაკითხულ მოხსენების გამო: „ხელოვნურად დაწმენდა და უვნებელყოფა წყლისა“.

◆ **კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების** საერთო კრებამ შეიმუშავა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მეფუტკრეობის ინსტრუქტორმა. ინსტრუქტორად აირჩია მ. ხანდაზიანი, რომელსაც დაევალა, უმთავრესი ყურადღება მიაქციოს ხალხში პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებას და მეფუტკრეობისადმიმ ცხოვრებლეაში ინტერესი გამოიწვიოს.

◆ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** გამგეობის კრება 21 მარტს მოხდა. გამგეობამ დაადგინა, დანიშნოს საზოგადოების წევრთა წლიური კრება 31 მარტისთვის წარუდგინოს საზოგადოების 1912 წლის მოქმედების ანგარიში და აბასთუმნის სანატორიის დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობამ აგრეთვე დაადგინა: წელს კიდევ გაგზავნოს პატარა ცემში, ექიმ ვ. ღამბაშიძის სანატორიაში, სუსტი ბავშვები.

◆ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო: 1) ფოთის ქალაქის გამგეობისაგან 100 მანათი ილიას ძეგლისთვის და 2) ავლაბრის კლუბისაგან 50 მან. ავლაბრის ბიბლიოთეკისთვის. გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველებს.

◆ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-XII კრების** მომწვევმა ბიურომ მიიღო მოხსენებანი: საგუბერნიო საერობო აგრონომისა პ. გვიტკოსი—„გლეხთა ბიუჯეტი“ და კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს გამგის ვ. ლუპპოვისა—„სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა“.

◆ **ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების** გამგეობამ უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, მიიღოს მონაწილეობა საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრებაში. წარმომადგენელნი უკვე აირჩია. წაიკითხავენ მოხსენებას შემდეგს თემაზე: „საყინულეთა მოწყობა და დაკლულ შინაურ ფრინველის ბაზარზე გატანა“.

მთის ყვავილი

ძვირფას არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას.

გუშინ ვნახე ჩემის თვალით,
გუშინ ვნახე მთის ყვავილი,—
ნამის ნაცვლად თალხის წყალით
დანაორთქლი, დანათრთვილი...
მზეც კი... მზეც კი არ ცეკვავდა.
სხივს ამტვრევდა ფერ-წასული,
მზესაც იგივ დარდი სწვავდა,
რასაც ჰგოდებს ხალხის სული:—
ვარდი მოკვდა და გაქვავდა,
ვარდი ცეცხლად ამოსული.

* *
*

მთა იფეთქებს... მზის გულიცა
ზამბახს შესძლვნის ყელ-საბამსა,
ფრთა ამაყი ბულბულიცა
ღრმად ამოსკვნის შენს ნათქვამსა;
მაგრამ შენ კი ბედკრული ცა
ვერ დაგაყრის ვერცხლის ნამსა.
და მეც... და მეც შენს გარშემო
ცრემლად ვქონავ, ვქონავ ობლად,
სხვა ვინ ვნახო, ვარდო ჩემო,
გაზაფხულის მახარობლად?!

ი. გრიშაშვილი.

სინანულის ცრემლი

ძვირფას მასწავლებლის არჩილ
ჯორჯაძის ხსოვნას.

ჩუ, მოთქმის ხმა
კვლავ გაისმა!..
დაჰკრეს სიმებს მგლოვიარეს,
და გოდება გულ დამწველი
ჩაეხვია შავს სამარეს.

ვისი გულიც ხალხის ტანჯვით,
სანთელივით დაიწვოდა.
ვისაც სჩხვლეტდა ერის კვნესა
და სულის წყლულს მისით ჰგრძნობდა,

იგი მოჰკვდა!.. მას სტირიან
გულით ნაჟვენ სისხლის ცრემლით
და ცივ საფლავს საუკუნოს
უმზადებენ ბედის წყევლით!..

—

სული სტირის... გულს სიმშვიდე
გაეყარა, გაუქვავდა
და გრძნობას ც დაეუფლა
მწარე გლოვის ცივი სევდა...
აგვისრულდა... ველარ ვიგრძნობთ
ჭეშმარიტ ხმას მოციქულის
და მის ნაცვლად სულს დაგვიჰქნობს
მხოლოდ ცრემლი სინანულის!..

ს. ფაშალიშვილი.

თელავის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა

10 თებერვალს მოხდა წლიური კრება თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა.

კრებას დაესწრო 400-მდე წევრი და მრავალი გარეშე პირი. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ესტატე პაატაშვილი. განსახილველი იყო წარსული (1912) წლის ანგარიში და მიმდინარე (1913) წლის ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობის თავმჯდომარის დ. ლუკაშვილის მიერ წაკითხულ იქმნა მოხსენება გამგეობისა:

შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დაარსებულა 1 თიბათვეს 1912 წ. 87 დამფუძნებელ წევრისგან, რომელთაც ჰქონიათ კრედიტი გახსნილი—7340 მან.

ხოლო საანგარიშო წლის გასულს, ე. ი. 7 თვის შემდეგ, ამხანაგობას ჰყოლია 408 წევრი. გახსნილი კრედიტით 31,013 მან.

ძირითად თანხად ჰქონია გრძელვადიანი . .	3,000 მ.
მოკლე ვადიანი (ეს ორივე თანხა მოცემულია სახელმწიფო ბანკიდან სესხად) „ . .	5,000
შესანახად ჰქონია მიბარებული „ . .	1202
საწევრო გადასახადი .	800
საოპერაციო წელს (7 თვეში) მოგება ჰქონია	839—86
აუცილებელი ხარჯი მოსვლია:	
საქმის მწარმოებელს .	65 მ.
დავთრები, ქაღალდები და სხ. „ .	86
სახლის ქირა „ „ .	127
სარგებელი ბანკიდან ნასესხებ ფულისა, ბომებულ ფულისა და ვადაზე ადრე შემოტანილ ფულის უკან დაბრუნებული %/% „ .	254
სულ ხარჯი . .	532—67.

ამხანაგობას ჰქონია შეძენილი ინვენტარი — ცეცხლისაგან უზრუნველმყოფელი ყუთი, მაგიდები და სხვა

მგზავრის შთაბეჭდილებანი

(შემდეგი *)

ქაა გემზე დავბრუნდი. წასასვლელად ვემზადებით. ჩვენს თვალწინ უკვე გადაიშალა ოსმალთა დამარცხების სურათი. ორი დღეა, იანინი დაეცა. ნაპირს მოადგა გემი, რომელსაც მოუყვანია დატყვევებული [illegible]თა ოფიცრები. ორას კაცამდე [illegible]. ყველა გარეგნულად ვაჟ[illegible], ზოგი მათგანი შესანიშნავი [illegible]ენილიც. ნაპირებზე ხელად ხა[illegible] თავს იყრის, მაგრამ ერთი სიტყვა არც სიხარულისა, არც მტრობისა არსაიდან ისმის. გამარჯვებულნი დუმილით ეგებებიან გუშინდელ ბატონებს, დღეს დამარცხებულთ და დატყვევებულთ.

პირველი ნავთსადგური ოსმალეთის ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენ მივადექით, სმირნაა. გემი შორიდან შეჩერდა და ნიშნებით ოსმალელი პილოტი გამოიწვია, რადგან შესასვლელი ნაღმებითაა დაცული. მოგვეგება პატარა სამხედრო ნავი და ნავთსადგურში ნელ-ნელა შეგვიყვანა. ყოველ უწინარეს ჩვენი ყურადღება მიიქცია უცხოელთა სამხედრო გემებმა. მგზავრები ბაირა[illegible]ებზე არჩევენ, თუ ვის [illegible]ნის გემი. აგერ სდგას გერმანელთა კრეისერი, იქით ინგლისისა, იტალიისა, ჰოლანდიისა და სხვებისა. სახელმწიფოს ცხოვრებაში ეს მეტად დიდი მოვლენაა. „ნეიტრალური“ ევროპა ამით ოსმალეთს ეუბნება, ვერ გენდობი ჩემ ქვეშევრდომთა ბედს დაცვაშიო. დღეს ოსმალეთს ნამდვილი ბლოკადა აქვს შემორტყმული უცხოელთა მიერ; ყველა ცოტაოდნად გამოჩენილ ნავთსადგურში უცხოელთა სამხედრო გემია. დარდანელში, კონსტანტინეპოლში, წარმოიდგინეთ, თვით ტრა[illegible]ნის წინაც სდგას რუსის ერთი [illegible]რო ნავი. შეუძლებელია ამ[illegible] გავლენა არ ჰქონდეს თვით [illegible]თა სულიერ განწყობილებაზე. [illegible]ი შთაბეჭდილება, თითქოს თავ[illegible] ხაფანგშია და ირგვლივ კატები შემოსხდომიან, ხომ არ დააპირებს გამოხტომასო, ხომ არ მოინდომებს ერთს უცხოელს მაინც ხელი ახლოსო. აქ ჩვეულებრივი დიპლომატიური თვალთმაქცობაცაა. ევროპა თითქო ქრისტიანთა მფარველობისთვის სჩადის ამას. მართლა კი ეს ერთი ხერხთაგანია დასუსტებულ ოსმალეთზე გავლენის მოპოებისა. ყოველ უწინარეს მეუცხოვა ფრანგთა სიმრავლე და ფრანგული ენა ასე გავრცელებული ამ ყოველ მხრივ აზიურ კუთხეში. ცოტა რომ მივიხედ-მოვიხედე, ყველაფერი გამოირკვა. ოსმალეთის ვერც ერთს ქალაქს ვერ იპოვი, რომ უცხოელებს დაბალი სკოლები და ხშირად კოლეჯები არ ჰქონდეთ. ერთი ჩემი თანამგზავრი შვეიცარიელი სმირნის კოლეჯში მასწავლებლად მიდიოდა. ფრანგების სკოლები უმთავრესად ბერების ხელშია. თუ ბერებს სდევნის საფრანგეთი თავის ნიადაგზე, ის საუცხოვო საექსპორტო მასალადაა აღიარებული. რამდენიმე საუკუნეა, რაც მისიონერები ეწევიან თავის ჩუმ მუშაობას. მაგრამ ამ ბოლო დროს განსაკუთრებით, როცა საფრანგეთმა განახორციელა ეკლესიისა და სახელმწიფოს გაშორება, როცა კონგრეგაციებს, ბერ-მონაზონთა კავშირებს აუკრძალა საფრანგეთში მუშაობა, უთვალავი ბერ-მონაზონობა საზღვარგარედ გადაიხვეწა. ბევრმა, რასაკვირველია, ოსმალეთსაც შეაფარა თავი. კათოლიკე ბერი საოცრად განსხვავდება ჩვენებურ ბერისაგან. თუ ჩვენებური ბერი, შედარებით გაუნათლებელია, თუ ის უფრო სარწმუნოებრივ წესების ასრულებაში ჰხედავს თავის მოწოდებას და გარეშე ეკლესიისა უფრო ეპიკურისებურია, კათოლიკე ბერი მომქმედი და მოუსვენარია. ის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ერევა, მას ყველა საკითხი აინტერესებს და ხშირად ამ ბერთა შორის დიდი მეცნიერიც იბადება, როგორც. მაგ., აბატი სეკი, რომელსაც ეკუთვნის საბუნებისმეტყველო თხზულება: „ფიზიკურ ძალთა ერთობა“. უფრო განათლებული, უფრო მომზადებული, ხშირად სხვა რამე ხელობის მცოდნე, მაგ., ექიმობისა, შრომის მოყვარე, ის ჩუმად, გულმოდგინედ აარსებს ფრანგულ სკოლებს, საავადმყოფოებს და სხვა დაწესებულებით. და ამ ნაირად ავრცელებს ფრანგულ კულტურას. ის გზას უკვლევს ფრანგ ვაჭარს, მრეწველს, რომელსაც ზურგს უმაგრებს დიპლომატია, ძლიერ ჯარსა და ფლოტზე დამყარებული. ამგვარად ნელ-ნელა ევროპიელი შედის ჩამორჩენილ უპატრონო ქვეყანაში და მას ფაქტიურად დაეპატრონება ხოლმე. ამას დიპლომატიურ ენაზე უწოდებენ მშვიდობიან შესვლას, ნამდვილად კი ეს არის მშვიდობიანი შეპარვა.

მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს ამ მხრით დღევანდელი ოსმალეთი. მთელი ოსმალეთის ტერიტორია დაგირავებულია უცხო კაპიტალისტების ხელში, მარტო საფრანგეთს აქვს ოსმალეთში ჩაყრილი ოთხ მილიარდ ნახევარი ფრანკი. თვით ოსმალეთის სახელმწიფო ბანკი უცხოელთა დაწესებულებაა. მათსავე ხელშია თამბაქოს მონოპოლია. ყველა ნავთსადგური ოსმალეთში პირველ-ყოფილ მდგომარეობაშია, ასე რომ გემი ვერ მიადგება ნაპირს უნდა გაჩერდეს შორს და მერე ნავების შემწეობით წვალებით გადმოზიდოს ან მიიღოს ბარგი. და თუ სადმე გაკეთებულია ნაპირი, უთუოდ უცხოელის მიერ და უცხოელ კაპიტალისტის ხელშია, როგორც მაგალითად კონსტანტინეპოლის სანაპირო. რკინის გზა თითქმის არ მოიპოვება და თუ მოიპოვება, ისიც უცხოელების მიერ არის გაყვანილი. ამას ზედ დაუმატეთ გარემოება, რომ ოსმალეთში ყოველ დიდ სახელმწიფოს საკუთარი ფოსტა აქვს და თქვენ ნათლად მიხვდებით, რომ ოსმალეთის მთელი ეკონომიური ცხოვრება უცხოელთა ხელშია. შიგნით ვაჭრობენ და საქმიანობენ ბერძნები, ებრაელები, სომხები, გარედან მოდიან ევროპიელნი. ოსმალეთი საოცრად დავალიანებულია, როგორც სახელმწიფო, ის დამონებულია, როგორც ეკონომიური ერთეული. დიდი სახელმწიფონი არ კმაყოფილდებიან საერთო თავისუფლებით და ყველა ცდილობს განსაზღვრული ტერიტორია შემოიფარგლოს: ეს ჩემი გავლენის სფეროაო. თავისთავად დავალიანება სრულიადაც არ არის საშიში, პირიქით, თქვენ პარადოქსალურად ნუ მიიღებთ, რამდენად სახელმწიფო, გინდ მუნიციპალიტეტი დიდ ვალშია, იმდენად ის პროგრესიულია. ეს იმიტომ, რომ თანამედროვე მუნიციპალიტეტთა და სახელმწიფოთა მისწრაფებაა გახდნენ თვითონაც მრეწველნი, მწარმოებელნი. ისინი ცდილობენ ეროვნულ ეკონომიის საერთო სარგებლობის დარგები თვითონ აწარმოვონ და ამით ორ ნაირ მიზანს მიაღწიონ: 1) გააუმჯობესონ და გააიაფონ ასეთი დარგის ნაწარმოებნი, 2) შეამცირონ არა-პირდაპირი გადასახადი და მის ადგილზე პირდაპირი შემოსავლის წყარო გაიჩინონ. გონიერი ის სახელმწიფო ან ის მუნიციპალიტეტი კი არ არის, რომელიც ვალს გაურბის და გაიძახის, მართალია ხმელი მჭადისა და ცივი წყლის მეტი არაფერი მომეპოება, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ვალიც არა მაქვსო. პირიქით თანამედროვე სახელმწიფოს გაჰყავს რკინის გზები ან იძენს გაყვანილთ, ჰქმნის მონოპოლიას სხვადასხვა საქონლისას, როგორც საფრანგეთში, მაგ. თამბაქოსი. თანამედროვე მუნიციპალიტეტი აშენებს გაზისა და ელექტრონის ქარხნებს, აკეთებს ელევატორებს და სხ. ყველა ამისთვის ხშირად მათ არა აქვთ საჭირო თანხა. აქ სხვადასხვა სახით ისინი მიმართავენ სესხს, და ასეთი მიდრეკილება დღითი-დღე იზრდება. შედეგიც მისი საზოგადოებრივი მხრით მეტად ძვირფასია. მაშ ის კი არაა საშიში, რომ თქვენ ვალს იღებთ, საკითხი ისაა, თუ რა პირობებში აიღეთ ეს ვალი და როგორ მოიხმარეთ. ევროპას დღეს დიდძალი სიმდიდრე აქვს. ზოგიერთი ბანკი მიბარებულ ფულში პროცენტსაც არ იძლევა. ევროპას გასესხებაც უყვარს. მაგრამ ხშირად ის ცდილობს სესხის გაცემასთან ერთად სხვა და სხვა პოლიტიკური თუ ეკონომიური უპირატესობა მიიპოვოს. აი, თქვენ თვალწინ საუკეთესო მაგალითია. ნორჩსა, მაგრამ საკმაოდ მკვიდრ ჩინეთის რესპუბლიკას სესხი ესაჭიროება. შეიკრიბა ექვსი დიდი სახელმწიფო, ეუბნება ჩინეთს: ჩვენ მზად ვართ ფული მოგცეთ, მაგრამ ერთი პირობით, ჩვენ უნდა გაუწიოთ კონტროლი ნასესხებ ფულის დახარჯვას, ამასთან სხვადასხვა კონცესიებსაც მოვითხოვთო. აშკარაა, სახელმწიფოებმა დრო უშოვეს ჩინეთს და ჰსურთ პოლიტიკური გავლენა მოიპოვონ მასზე. თუ თავი დააღწია ჩინეთმა მათ ნაძალადევ მზრუნველობას, მისი მომავალი უზრუნველყოფილია, თუ არა და, ვინ იცის, რა მოელის. ოსმალეთი ფულს კი ბლომად სესხულობდა, ხოლო ამ სესხის შედეგებზე კი არა ფიქრობდა. მას ეძინა. ეგოისტი, შორს გამჭვრეტი ევროპა კი ნელ-ნელა ეპარებოდა. ფრიად საგულისხმიეროა ამ შემთხვევაში ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწის ქიამილ ფაშის გაზეთის „იკდამის“ აზრი გერმანიის შესახებ, რომელიც კარგახანია ოსმალეთის მეგობრად ითვლება. აი, რასა სწერს გაზეთი: „გერმანიამ ერთ დროს აღგვითქვა ოსმალოს იმპერიის მთლიანობის გარანტია. დღეს, როცა ეს მთლიანობა ბალკანეთის კოალიციის მიერ დარღვეულია, ჩვენთვის მეტად სასიამოვნო იქნება, თუ გერმანია თავის დაპირებას არ დაივიწყებს. სამწუხაროდ, ოცდაათი წელიწადია გერმანია უბრალო მაყურებელია ჩვენი იმპერიის ნაწილ-ნაწილ დაჭრისა.

გერმანიისა განსვენებულმა ელჩმა მიბერშტეინმა ყოველთვის კარგად იცოდა ეთქვა, თუ რა პირობით დაეხმარებოდა ის ოსმალეთს. ერთადერთი მიზანი მისი იყო, გამოეყენებინა ოსმალეთი როგორც ეკონომიური ფაქტორი. მას არას დროს არ ურჩევია სულთანისათვის ხალხის განათლება ეძებეო. რაც შეეხება ბულგარეთს მიბერშტეინი ყოველთვის გვეუბნებოდა — გულმშვიდად იყავით, ავსტრია არას დროს არ დაანებებს ბალკანეთს, რომ მათი კოალიცია შესდგესო. როცა ტრიპოლზე მიდგა საქმე, თუმცა ჩვენთვის გადამწყვეტი ... ლიანება დამღუპველი იყო, მაგრამ გერმანიის გაზეთებმა გვირჩიეს გაუძალაინდითო. გერმანია თვალთმაქცურად ცდილობდა ახალ რეჟიმის წარმომადგენელთა გულის მოგებას... ოსმალეთს სამარეს უთხრიდნენ. გერმანიამ ეს კარგად იცოდა და ერთი სიტყვითაც არ მოგვცა ამის შესახებ მეგობრული რჩევა“...

თუ გერმანია, რომელიც ოსმალეთის პირველ მეგობრად ითვლება, ასე ცუდლუტურად იქცევა, რაღა ითქმის სხვებზე? ოსმალეთი ბრმა გამოდგა ევროპის პოლიტიკაში, ევროპაც სარგებლობს ამ სიბრმავით და სისუსტით, რაც შეიძლება იმაგრებს ფეხს ისლამის ქვეყანაში. ამ საერთო იერიშის შედეგი ის იყო, რომ ოსმალეთს თავის ქვეყანაში ნიადაგი გამოეცალა. დღეს მისი არსებობა უფრო საერთაშორისო ქიშპობის შედეგია, ვიდრე შინაგან ცხოველმყოფელობისა.

საჭიროდ ვსცნობ, სხვათა შორის, აღვნიშნო ერთი პატარა, თავისთავად უმნიშვნელო ამბავი, რომელიც ოსმალეთს სრულიად არ შეეხება, მაგრამ დამახასიათებელია ფრანგ-გერმანელთა ურთი-ერთ დამოკიდებულებისა. როცა სმირნიდან გამოვედით, ჩვენთან ერთად დაიძრა გერმანიის სამხედრო გემი. გემზე ფრანგებს შორის გაცხარებული ლაპარაკი იყო იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც ორი დღის წინად მომხდარიყო სმირნაში. ერთ ყავახანაში ყოფილიყვნენ ფრანგი მეზღვაურები, შემდეგ შემოსულიყვნენ გერმანელები. საკმაო იყო რამდენიმე წუთი და მათ შორის გაიმართა ბრძოლა. შედეგად ორი გერმანელი მეზღვაური მოკვდა. ფაქტი თავის თავად მცირედია. მაგრამ თუ თქვენ გაითვალისწინებთ, თუ როგორ აღელვებული იყვნენ ფრანგები, თუ როგორ მტრულად იხსენიებდნენ თავიანთ ჩრდილოეთის მეზობლებს, მაშინ დარწმუნდებით, რომ ამ ორ მეზობელ და, მეტოქე ერს შორის დიდი მტრობა და ქიშპობაა დაგუბებული და, ვინ იცის, რით გათავდება.

ნამი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 852

—259 მ. გამგეობა იძლევა წინადადებას ამ რიგად განაწილდეს სუფთა მოგება—307 მ. 19 კ.:

1) 57 მ. 9 კ. გადაიდოს შეძენილ ინვენტარის ხარჯის დასაფარავად.
2) 40 პროც. ძირითად თანხის გასაძლიერებლად, ესე იგი—100 მ.
3) 10% სათადარიგო თანხისთვის „ . 25 მ.
4) საშუამავლო საწარმოო თანხად (შაბიამან-გოგირდის ან სამეურნეო იარაღის ყიდვა წევრთათვის) „ „ 100 მ.
5) საკუთარ შენობის ასაგებ თანხისთვის „ 25 მ.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ალ. ციციშვილმა წაიკითხა მოხსენება საბჭოსი გამგეობის მოქმედების და ამ საოპერაციო წლის განმავლობაში ამხანაგობაში საქმის სვლელობის შესახებ. საბჭო აღნიშნავდა რა ერთის მხრით, წევრთა შეგნებულ ქცევას და თანაგრძნობას, მეორე მხრით ხაზს უსვამდა გამგეობის და მის საქმეში გამოცდილ თავმჯდომარის უანგარო ნაყოფიერ საქმის წარმოებას.

კრებამ ერთხმად დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში. შემდეგ კრება შეუდგა მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვას.

მომავალ წლის მოგებიდან, რომელიც ნავარაუდევია—2,000 მ. კრებამ დაადგინა გასწიოს შემდეგი ხარჯი:

1. საქმის მწარმოებელს და მის თანაშემწეს წლიწადში ორივეს . . . . . . 480 მან.
2. საკანცელარო . . . 120 მან.
3. სახლის ქირა, გათბობა და განათება . . . 200 მან.
4. მსახურებს . . . . 50 მან.

სულ . . . . 850 მან.

კრებამ დაადგინა მისცეს ჯილდოთ 15% მოგებიდან გამგეობას და ხაზინადარს, ხოლო მათ ეს ჯილდო სავსებით შესწირეს თელავის ღარიბ შეგირდთ და აღუთქვეს უსასყიდლოდ მუშაობა ამ 1913 წლის განმავლობაშიაც. კრებამ იქონია მსჯელობა სხვადასხვა საკითხზე და დაადგინა:

1. აღძრას შუამდგომლობა, რათა მოკლე-ვადიანი სესხი გადიდებულ იქმნას. . . . 20,000 მ.
2. გამოითხოვოს გძელ ვადიანი სესხი კიდევ . . . . 5,000 მ.
3. გამოითხოვოს საშუამავლო საწარმოვო თანხა . . 2,000 მ.
4. გამოითხოვოს სპეციალური თანხა შესანახად მორარებული ფულის მოთხოვნისამებრ დასაკმაყოფილებლად . . 2,000 მ.
5. გაუდიდოს წევრთ სესხი—15 თუმნამდე.
6. შემოიერთოს ს. შალაური, ვარდისუბანი და ნასამხარი, თანახმად მათის თხოვნისა.
7. მიიღოს ზომები, რათა შესანახი ფული გაადიდოს.
8. გაადიდოს გამგეობის წევრთა რიცხვი 12-მდე.
9. აირჩიოს კრედიტის მომავალ კავშირში წარმომადგენელი (არჩეულ იქმნა დ. ლუკაშვილი).

შემდეგ მოხდა არჩევანი გამგეობის და საბჭოს წევრთა. არჩეულ იქმნენ: საბჭოს თავმჯდომარედ, ნაცვლად ალ. ციციშვილისა, რომელმაც სამსახურის გამო თავი დაანება თელავს—არჩეულ იქმნა თ. ზაქარია ჭავჭავაძე, საბჭოს ახალ წევრად—ანტონ ყაზახაშვილი, გამგეობაში თავმჯდომარედ, რომელსაც წელს კენჭით თავი უნდა დაენებებინა—ერთხმად არჩეულ იქმნა ისევ დავ. ლუკაშვილი. ახალი წევრები არჩეულ იქმნენ გამგეობაში: ორკოდაშვილი, შიუკაშვილი, ლ. გოგიაშვილი, აივაზოვი, კიმოთაშვილი, ხომიზურაშვილი და რაზმაძე.

დასასრულ კრებამ ნდობა და მადლობა გამოუცხადა გამგეობას და საბჭოს უანგარო სამაგალითო საქმის წარმოებისთვის და უსურვა მომავალშიაც ნაყოფიერი მუშაობა და საქმის გაფართოვება კოოპერატიულ ნიადაგზე.

ალ. ციციშვილი.

სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში

დეპეშათა სააგენტო იუწყება,—დაიწყო აკადემიიდან დათხოვნილ სტუდენტების თხოვნების მიღება ახალ წესდების მიხედვითაო.

17 მარტს, შუადღის თორმეტ საათზე, სტუდენტები შეგროვდნენ აკადემიის ბაღში, კონფერენციის დარბაზის წინ. ერთიერთმანეთს უზიარებენ აზრებს, შთაბეჭდილებებს. 3 საათზე პროფესორები შეიკრიბნენ. კონფერენციის სხდომამ 3½ საათს გასტანა. აკადემიის უფროსმა მაკაეევმა წაიკითხა ახალი წესდება. ხმები ვითომც სტუდენტებმა ჯარისკაცების ფარაჯა უნდა ატარონ, არ გამართლდა. ფარაჯის ფორმა ძველია; შეიცვლება ცოტაოდენად ეპოლეტები. სტუდენტებმა სამხედრო სალამი უნდა მისცენ ოფიცრებს, როგორც უბრალო ჯარის კაცებმა. უმცროსი სტუდენტები მოვალენი არიან სამხედრო სალამი მისცენ უფროსებს. უფროსი სტუდენტები და ოფიცრები მოვალენი არიან ერთმანეთს მისალმნენ. წესდების ბევრი მუხლი დაწვრილებით არ არის შემუშავებული. 6½ საათზე პროფესორები დაიშალნენ. პირველად გამოვიდნენ პროფესორები — ფიოდოროვი და ტიიშევი. მათ შემოეხვივნენ სტუდენტები და გამოკითხვა დაუწყეს. პროფესორები ამშვიდებდნენ სტუდენტებს: „უფრო უარესს მოველოდითო“,—უთხრეს მათ. სტუდენტები შეეკითხნენ პროფ. პავლოვს: „ღირს თუ არა აკადემიაში დარჩენა“? პავლოვმა უპასუხა: „ღირსო“. სტუდენტები იმედ გაცრუებულნი დაიშალნენ, რადგან პროფესორებისგან აკადემიის უფლებათა დაცვას მოელოდნენ.

აკადემიის „საუკუნო ხსენება“.

საღამოს 7 საათზე აკადემიასთან 500 სტუდენტი შეგროვდა. სტუდენტები ერთმანეთს ეთხოვებოდნენ; ბევრს გადაუწყვეტია, თავი მიანებოს აკადემიას და უნივერსიტეტში შევიდეს. სტუდენტებმა ქუდები მოიხადეს და აკადემიის კედლებს უგალობეს „საუკუნო ხსენება“. სტუდენტებმა სამჯერ გაიმეორეს იგი. მანიფესტაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ბევრი სტუდენტი სტიროდა; ცრემლები ვერ შეიმაგრეს სამხედრო ექიმებმაც, რომელნიც იქ იმყოფებოდნენ. გამოიწვიეს პოლიცია, მაგრამ მანიფესტანციის მშვიდობიან ხასიათის გამო არ ჩარეულა იგი. სტუდენტები წყნარად დაიშალნენ.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

21 მარტი.

სოფია. ორდინიდან მოვიდა მატარებელი 600 დაჭრილი ჯარისკაცით.

სტამბოლი. ოფიციალურად იტყობინებიან, 20 მარტს ჩათალჯის სიმაგრეებზე მშვიდობიანობა იყოვო. მხოლოდ მარცხენა ფრთა ისროდა ყუმბარებს. ფლოტიც იღებდა სროლაში მონაწილეობას.

სამხედრო უწყებამ დაადგინა განთავისუფლოს იმ ადგილების მცხოვრებთა ტყვენი, რომელიც მოკავშირეების მიერ არიან დაპყრობილნი.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

21 მარტი.

ლონდონი. რეიტერის ცნობით ელჩთა თათბირის კრება გადაიდო, რადგანაც დემონსტრაციის თაობაზე საჭირო ინსტრუქციები არ იყო მოსული. სხვა და სხვა ცნობა წინააღმდეგობას ჰბადებს საზღვაო დემონსტრაციაში მონაწილეობის თაობაზე. უცხოეთიდან იუწყებიან: იტალიის გემები არ მიიღებენ მონაწილეობასაო, აქაური ცნობებით კი იტალია უეჭველად მიიღებს მონაწილეობას საზღვაო დემონსტრაციაში. ლონდონის სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან: საფრანგეთი რუსეთის თანხმობით მიიღებს მონაწილეობასაო, პარიზიდან მოსული ცნობები ეწინააღმდეგება ამას.

რეიტერის ცნობებით, ბულგარეთი და ოსმალეთი არა ფორმალურად შეთანხმდნენ ბულგარეთ-ოსმალეთის საზღვართა საკითხში.

ლონდონი. ელჩთა თათბირის კრება 22 მარტს მოხდება.

ბერლინი. საბიუჯეტო კომისიაში სტატ-სეკრეტარმა იაგოვმა განმარტება მისცა ზოგიერთ საკითხზე, რაიც ბალკანეთის ომთან არის დაკავშირებული. იაგოვის სიტყვით, პირველად აპირებდნენ ბალკანეთის კავშირის დაარსებას, რომელშიაც ოსმალეთიც შევიდოდა; რადგანაც ოსმალეთმა უარი სთქვა, დაარსდა ბალკანეთის კავშირი მის წინააღმდეგ. ომი ნაადრევად დაიწყო მოკავშირე სახელმწიფოთა სურვილის წინააღმდეგ, რადგანაც ჩერნოგორიამ უდროოდ დაიწყო საომარი მოქმედება. ალბანეთის საკითხში გერმანიას ავსტრიის მხარი უჭირავსო. რუმინია-ბულგარეთის დავაში, გერმანია რუმინიას მიემხრობა. ზავის ჩამოგდების შემდეგ, საფინანსო საკითხები გადასწყდება პარიზის კონფერენციაში, სოციალისტთა მონაწილეობით. მიდია-ენოსის საზღვარი წარმოდგენილი იყო რუსეთის მიერ და ოსმალეთმა მიიღო კიდეცაო. მოკავშირეთა პასუხი ჯერ არ მოსულა. ეგეის კუნძულთა საკითხი დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს. დარდანელის საკითხი ჯერ არავის არ აღუძრავსო.

პარიზი. საფინანსო კონფერენცია მუშაობას შეუდგება აპრილის მეორე ნახევარში. რუსეთის დელეგატებად იქნებიან საელჩოს წევრი სევასტოპულო, გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე სალდატნიკოვი და ფინანსისტი რაფალოვიჩი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

21 მარტი.

საზღვარ-გარედ

ვაშინგტონი. მთავრობამ ჩინეთის რესპუბლიკა აღიარა.

ურგა. იუნ შიკაის უკანასკნელ წერილის საპასუხოდ მონღოლეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზად არის ჩინეთის მთავრობასთან ერთად ეცადოს, რათა თავიდან აიცილოს შეიარაღებული შეტაკება; მაგრამ ამის გულისთვის თავის დამოუკიდებლობაზე ხელს არ აიღებსო. თუ პრეზიდენტი დასთანხმდება მშვიდობიან მოლაპარაკებას, ორივე სახელმწიფომ ჯარები უნდა გაიწვიოს. ჩინეთის მთავრობამ ურგაში უნდა გაგზავნოს თავისი რწმუნეული, რომელიც მომხრე იქნება ზავისა. ურგაში უჯაროდ უნდა შევიდეს.

პეკინი. ქვრივი დედოფალი დაკრძალეს.

რომი. დასრულდა გეოგრაფთა საერთაშორისო კონგრესი. შემდეგი კონგრესი პეტერბურგში მოხდება.

რუსეთი.

პეტერბურგი. „გოლოს მოსკ.“-ში მოყვანილი იყო ცნობა, ვითომც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მინისტრთა საბჭოში აღძრა საკითხი, გრ. ვიტეს მიენდოს მოლაპარაკების გამართვა გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულებაზე. მინისტრთა საბჭოს დაევალება მხოლოდ მასალის შეკრება. ცნობათა მიმცემი ბიურო კატეგორიულად იტყობინება, რომ კოკოვცევს ამგვარი საკითხი არ აღუძრავსო.

მოსკოვი. დაიჭირეს „რანეე უტრო“-ს ნომერი. რედაქტორი სამართალშია მიცემული.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. ჩქარი № 2, დილ. 10 ს. 14 წ. საფოსტო № 4, ღამის 12 ს. 36 წ. სამგზავ. № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. ნარევი № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. სახ. № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. 50 წ. სახ. № 4, საღ. 9 ს 4 წ. სახ. № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 27 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. სახ. № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. ჩქარ. № 1, საღ. 9 ს. 40 წ. სახ.-საბ. № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. საფ. № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. 56 წ. ნარევ. № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 8/7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში· სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. სახ.-საბ № 63, დილ. 5 ს. 30 წ. სახ.-საბ. № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. სახ.-საბ. № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. სახ.-საბ. № 69, საღ. 7 ს. 53 წ. სახ.-საბ. № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. სახ.-საბ. № 62, დილ. 4 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 64, დილ. 7 ს. 8 წ. სახ.-საბ. № 66, ნაშ. 1 ს. 13 წ. სახ.-საბ., № 68, საღ. 6 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. სახ. № 79, დილ. 10 ს. 14 წ. სახ. № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. სახ. № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. სახ. № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. სახ. № 78, დილ. 11 ს. 2 წ. სახალ. № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. 82, საღ. 6 ს. 55 წ. სახ. № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. სახ. № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. 1 წ. სახ. № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. სახ. № 7 п, საღ 7 ს. 24 წ. სახ. № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. სახ. № 25 г ნაშ. 1 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. საფ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. სახ. № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. სახალხ. № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. სახ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს. სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. № 65, საღ. 9 ს. 14 წ. სახ. № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. სახ. № 55, დილ. 5 ს. 58 წ. სახ. № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასია ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები და 3 4.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გ მი შაბ., და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. სა., შაბათ., ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **არ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. ორშ., საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამშ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“ საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სხდაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ამლაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფს ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
მ. გ. ბეგაბერთვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელ.ისა.
მ. გ. ბეგტიხანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ბეგტიხანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა (ვის) უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 **დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.**

განცხადება
საგარეჯოს საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს, მოიწვიოს სოფელში
უ ა ს ა ბ ი
ნიხრი წლიური იქნება. მსურველმა დაწვრილებითი პირობები სოფელ საგარეჯოში უნდა გაიგოს. 168.

პირველი კავკასიური
თესლეულობის დეპო
ლ ა რ შ ე
1872 წლიდან არსებობს.
მიხეილის პროსპექტი № 10.
ჰყიდის ახალ მოსავლის საუკეთესო ღირსების
ნაცად თესლეულობას
საბოსტნის
ყვავილებისას
მცენარეულობისას
ხეებისას და
საუკეთესო საზრდოს
ი ა დ ო ნ ი ს თ ვ ი ს
გირვ. 25 კაპ.
პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე **უფასოდ ეგზავნებათ.** 1076.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მექანიკური ნაწარმოები. 170

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მემკვიდრეობა“. დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**
პასხალიდის
აბრეშუმის თესლი
ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში,**
ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.
სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენად უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს** კანტორა ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსასვლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.
ტფილისისა. ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“
ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.
დაკვეთა შეიძლება: **ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკავში** მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ზიზილალა,
თევზის მრეწველნი
მმ.
ძმები
ძმ. ჩ ძევლოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კ ო ნ ს ე რ ვ ე ბ ი.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში
მოხარშული დოში, ზურგიელი,
და ყოველგვარი

ტფილისი მუხრანის ქუჩა სტამბა, „შრომა“